Известно, что в большинстве случаев обратимость денатурации белка является частичной [1]. Это часто обусловлено в какой-то степени тем, что в процессе прогревания одновременно осуществляются две реакции, одна из которых ведет к равновесию, в то время как другая необратима, т. е. реакция проходит по схеме: нативное состояние \rightleftharpoons обратимая денатурация \rightarrow необратимая денатурация. Рассматривая эту схему, надо отметить, что первая часть этой реакции (когда реакция денатурации обратима) не зависит от механизма денатурации. Этим механизмом может быть принцип «все или ничего» или же эта реакция может быть многостадийной, т. е. проходящей через ряд промежуточных состояний. Важно, что в процессе такого перехода мы имеем в конечном случае либо денатурированное состояние, либо нативное, в зави-

роны, от различных денатурирующих факторов и, с другой, — от самого механизма денатурации белка. Поэтому, варьируя денатурирующие агенты, можно исследовать механизм этой реакции.

Как указывалось выше, группы слабых взаимодействий в белках могут одновременно разрушаться и восстанавливаться вновь, что обеспечивает возможность тепловых движений участков белка. При этом возможно, что в одних случаях может произойти взаимодействие таких участков в пределах одной молекулы и это, естественно, должно отразиться в изменении энергетики тепловой денатурации. В другом случае может произойти взаимодействие этих же участков, принадлежащих разным молекулам, т. е. будут образовываться агрегаты, что также приведет к изменению энергетики тепловой денатурации белка. Однако в первом случае вполне можно предположить, что сдвиг характеристической температуры тепловой денатурации, при повторном действии температуры, должен быть незначительным. Незначительным должно быть и изменение энтальпии тепловой денатурации. Во втором случае, когда образуются агрегаты, процессе тепловой денатурации усложняется, так как в этом случае должно произойти взаимодействие отдельных участков молекулы белка с другими (другой) молекулами. Естественно, что в этом случае в начале должно произойти разрушение слабых связей какого-либо участка или же всей молекулы, и процесс будет идти с теплопоглощением, а затем должно произойти межмолекулярное взаимодействие, причём этот процесс уже должен идти с тепловыделением. Оба этих процесса, т. е. разрушение и взаимодействие, должны быть растянуты во времени, так как межмолекулярное взаимодействие в этом случае будет вероятным процессом. Следует также заметить, что в этом случае калориметрическая энтальпия тепловой денатурации будет являться разностью между теплопоглощением при разрушении внутримолекулярной структуры и тепловыделением при образовании межмолекулярных образований.




Рис. 1. Изменение относительной теплоемкости α -химотрипсина при тепловой денатурации и различных температурах предварительного нагрева: 1—38°С; 2—44°С; 46°С; 4—48°С; 5—50°С; 6—52°С; 7—54°С

симости от денатурирующего фактора. В случае действия температуры между этими двумя крайними состояниями будет находиться область, в которой будет осуществляться собственно переход между этими двумя состояниями. Вторая часть схемы будет естественно зависеть, с одной сто-

На рис. 1 представлены кривые изменения относительной теплоемкости α -химотрипсина при тепловой денатурации, соответствующие различным температурам предварительного нагрева (отжига). Как видно из рисунка, при отжиге наблюдается уменьшение максимальной относительной теплоемкости белка, сужение интервала тепловой денатурации, в то же время смещение характеристической температуры не превышает одного градуса, что может служить косвенным подтверждением идентичности структурных элементов, входящих в конформацию макромолекулы. С другой стороны, если предположить, что процесс тепловой денатурации α -химотрипсина происходит в рамках модели «все или ничего», т. е. в процессе денатурации изменяется соотношение между денатурированными и нативными макромолекулами, то зависимость кривой теплопоглощения от температуры предварительного нагрева будет иметь вид, представленный на рис. 2 (пунктирная кривая). Как видно, имеется существенное расхождение между предполагаемой кривой и кривой, полученной экспериментально. Рассматривая эту зависимость, можно отметить, что увеличение температуры отжига в области тепловой денатурации приводит к изменению механизма денатурации перехода α -химотрипсина, т. е. при прогреве до температур вблизи температуры перехода наблюдается значительная обратимость процесса, а затем начинают превалировать процессы, ведущие к необратимости перехода α -химотрипсина. Судя по представленным кривым, такое поведение системы связано с изменением типа кооперативности процесса, который частично может быть связан с ассоциацией молекул белка. Однако, так как пик теплопоглощения, как указывалось выше, представляет алгебраическую сумму всех тепловых эффектов, которые могут сопровождать процесс денатурации белка, можно предположить, что по крайней мере до области характеристической температуры процессы ассоциации не происходят. То, что характеристическая температура в пределах погрешности эксперимента остается постоянной, а также не происходит усложнения формы кривой, может служить кос-

венным подтверждением идентичности основной структуры белка. Известно, что α -химотрипсин состоит из двух доменов, основой которых является β -структура и в нем имеется 143 вандерваальсовых контакта, 8 водородных связей и один солевой мостик. Следует также отметить, что структурные домены можно определить как единицы свертывания цепи [4]. Строение α -химотрипсина в известной мере подтверждает такое определение. Этот белок содержит 13 молекул воды между двумя доменами внутри молекулы. Это указывает на то, что домены свертываются отдельно и молекулы воды задержива-




Рис. 2. Зависимость теплопоглощения от температуры предварительного нагрева: пунктирная линия—теоретическая кривая в рамках модели «все или ничего»; сплошная — экспериментальная кривая

ются в процессе последующей ассоциации доменов [5, 6]. Кроме того, можно предположить, что если корреляция между соседними по цепи остатками в этих доменах отличается, то домен с сильной корреляцией должен свертываться первым, а затем использоваться в качестве своеобразной матрицы, способствующей свертыванию другого домена.

Тогда вполне вероятно, что процесс тепловой денатурации в области начальных температур предварительного прогрева обусловлен в основном нарушениями в первом низкотемпературном домене, а затем, когда начинается плавление второго домена,



общий процесс тепловой денатурации становится необратимым. Вероятно, определенное значение в этом случае имеет то, что структура α -химотрипсина поддерживается в основном ван-

дерваальсовыми взаимодействиями, а наличие одного солевого мостика в стабилизации третичной структуры макромолекулы играет незначительную роль.

ЛИТЕРАТУРА

1. Жолн М. Физическая химия денатурации белков, «Мир», М., 1968.
2. Туза Дж., Прентис С. Перспективы биохимических исследований, «Мир», М., 1987.
3. Allerhand A., Doddrell D., Gluehvo V., Cochran D. W., Wemkert E., Lawson P. J., Gurd F. R. IV. J. Am. Chem. Soc., 93, 544—546, 1971.
4. Birktoft J. J., Biow D. M. J. Mol. Biol., 68, 187, 1972.
5. Coldberg W. E. J. Mol. Biol., 46, 441, 1969.
3. Kirschner K., Bisswanger H. Ann. Rev. Biochem., 45, 143, 1976.

α -ჰიმოტრიპსინის კალორიმეტრიული გამოკვლევა

3. გერასიმოვი, მ. მახარაძე, ი. მეგრელიშვილი, გ. გეტაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი

რ ე ზ ი უ მ ე

კალორიმეტრიული მეთოდით შესწავლილ იქნა წინასწარი გახურების გავლენა α -ჰიმოტრიპსინის სითბურ დენატურაციაზე. ნაჩვენებია, რომ წინასწარი გახურე-

ბის ტემპერატურა ცილის დენატურაციაზე ახდენს გავლენას მაშინ, როდესაც იგი უახლოვდება α -ჰიმოტრიპსინის ლლობის ტემპერატურას.

THE CALORIMETRIC INVESTIGATION OF α -CHYMOTRYPSIN

V. GERASIMOV, M. MAKHARADZE, I. MEGRELISHVILI, G. GETASHVILI

Institute of Molecular Biology and Biological Physics, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

S u m m a r y

The effect of preheating on the α -chymotrypsin thermal denaturation was studied by scanning calorimetry. It has been shown, that preheating effects are

much more expressed at temperatures near the melting temperature of α -chymotrypsin. Analysis of the mechanism of protein heat denaturation has been carried out.

577.23:612.015/127:616—099

მოლეკულური ბიოლოგია

რნმ-ის სხვადასხვა ფრაკციების მიტაბოლიზმის გავლენა
კარდიომიოციტში ცილის სინთეზზე L-თიროქსინული
ბოქსინოზის დროს

5. მარაზანაშვილი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის და სოცურუნველყოფის სამინისტროს
რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო ბიოფიზიკის ცენტრი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 07.09.90

რადიოზოტოპური მეთოდებით შესწავლილ იქნა რიბონუკლეინის მეკავების (რნმ) სხვადასხვა ფრაქციების გავლენა ცილის სინთეზზე ჰიპერთროფულ გულში, რომელიც გამოწვეული იყო L-თიროქსინით.

აღმოჩნდა, რომ L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს სხვადასხვა ფრაქციების აჩქარებული სინთეზი თავის მხრივ იწვევდა ცილის სინთეზის გააქტივებას, რაც გამოხატული იყო კარდიომიოციტის ცილების სხვადასხვა ფრაქციებში [³⁵S] მეთიონინის მაღალი ჩართვით, რომელთაგან აღსანიშნავია ცილები მოლეკულური მასით: 139, 119, 101, 98, 95, 68, 65, 58, 50, 45 კილო დალტონი (კდ).

თირეოიდული ჰორმონების სიჭარბე იწვევს ჰიპერთროფოზს, რომლის დროს ადგილი აქვს მეტაბოლური პროცესების დაჩქარებას, იქმნება დამატებითი დეტერთვა გულზე, ვითარდება ჰიპერთროფია.

გულის ჰიპერთროფიის დროს სტრუქტურული ცვლილებები ზორციელდება ხანგრძლივი ადაპტაციის საერთო მექანიზმის საფუძველზე — კერძოდ ნუკლეინის მეკავების და ცილების ბიოსინთეზის გზით. ის შიგაუჯრედული მექანიზმებია, რომლებიც იწვევენ პათოლოგიურ ცვლილებებს, ნაკლებადაა შესწავლილი. ლტერატურაში ძირითადად გვხვდება მონაცემები, რომლებიც ითვალისწინებენ მაკრომოლეკულების სინთეზის პროცესებს, მაშინ როდესაც ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლი მიუძღვის აგრეთვე დაშლის რეაქციებს.

თიროქსინის შეყვანით გამოწვეული მიოკარდიუმის ჰიპერთროფია არის კარგად მოდელი ამ პროცესის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად. ადრე ნაჩვენები იყო,

რომ თიროქსინით გამოწვეული ჰიპერთროფიის მიზეზი დამოკიდებულია ცილების სინთეზის როგორც ფრაქციულ, ისე აბსოლუტური სიჩქარეების მომატებაზე [6]. ჰორმონით ინდუცირებული მიოკარდიუმის ჰიპერთროფიის დროს ცილის დეგრადაციის სიჩქარე იცვლება, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჰიპერთროფიის მიზეზი არის ის, რომ ახლად სინთეზირებული ცილის მომატებული სიჩქარე აღემატება დეგრადაციის სიჩქარეს [6].

ნაშრომში შესწავლილია ჰორმონით ინდუცირებული მიოკარდიუმის ჰიპერთროფიის დროს დაბალმოლეკულური და რიბოსომალური რნმ-ის (რ-რნმ) სინთეზის და დაშლის სიჩქარეების გავლენა კარდიომიოციტის ცილების ფრაქციულ შემადგენლობაზე.



ცილები ჩატარდა თეთრ მამრ ვირთა-გვებზე. ცხოველების თავდაპირველი პარტია დაიყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენდა ინტაქტური ცხოველები (ნორმა), ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველებს უკანა კიდურის კუნთში უკეთდებოდა 150 მკგ L-თიროქსინი („რეანალი“, უნგრეთი) ცხოველის სხეულის მასის 100 გ-ზე, ყოველდღიურად 7—30 დღის განმავლობაში.

ყველა ცხოველს ეძლეოდა ერთი და იგივე საკვები და იმყოფებოდა ვივარიუმის ერთი და იგივე პირობებში.

რნმ-ის სხვადასხვა ფრაქციის მეტაბოლიზმს ვსაზღვრავდით [5—³H] ნატრიუმის ოროტატის შეყვანიტ in vivo ორივე ჯგუფის ცხოველებში ერთდროულად. რნმ-ის ნახევარდაშლის სიჩქარეს და ცვლის დროს ვსაზღვრავდით ჩვენს მიერ აღრე აღნიშნული მეთოდით: [3].

გულის კუნთის ცილებს ვნიშნავდით

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

L-თიროქსინის შეყვანა 10—30 დღის განმავლობაში იწვევდა გულის კუნთის პიპერტროფიას, რაც გამოიხატებოდა ცხოველის გულის მასის მომატებით, ნუკლეინის მჟავების შემცველობის გაზრდით, როგორც მთელ გულში, ისე გულის ერთეულ მასაზე (ცხრ. 1).

in vivo [³⁵S] მეთიონინით (მარკალიზებული ტივობით 27,0 პენტაბეკერელი/მოლზე, „იზოტოპი“ სსრკ), რომელიც შეგვეყვანა ცხოველებში დაკვლამდე 3 საათით ადრე. ცილების ფრაქციონირებას ვახდენდით გელ-ელექტროფორეზის მეთოდით დოდეცილსულფატის თანაობისას ლემლის მიხედვით [9] და ვღებავდით კუმასი ლურჯით R-250. ცილების სინთეზის ინტენსივობის შესახებ ვმსჯელობდით ფრაქციების რადიოაქტივობის მიხედვით, რომელთაც ვსაზღვრავდით გელ-ელექტროფორეგრამების რადიოაქტოგრაფირებით. რადიოაქტოგრაფირებას და გელ-ელექტროფორეგრამების სკანირებას ვახდენდით დენსიტომეტრზე („Joyce Loebl“, ინგლისი), რადიოაქტივობას ვითვლიდით სინცილატურ მრიცხველზე „დელტა-300“ („Tracor Europa“, ნიდერლანდები). მონაცემებს ვამუშავებდით სტატისტიკურად [5].

რნმ-ის სხვადასხვა ტიპების მეტაბოლიზმის შესწავლის შედეგები მოცემულია 2 ცხრილში, საიდანაც სჩანს, რომ L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს ჯამური რნმ-ის ნახევარდაშლის სიჩქარე 3-ჯერ მცირდება ნორმასთან შედარებით, რაც შეეხება რ-რნმის (28S და 18S) მეტაბო-

ცხრილი 1

ცხოველთა ფიზიოლოგიური მაჩვენებლები და ნუკლეინის მჟავების შემცველობა ნორმასა და L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს

მაჩვენებელი		ნორმა n=23	L-თიროქსინული ტოქსიკოზი n=20
მასა	სხეულის, გ	222,2 ± 7,0	194,4 ± 69**
	გულის, მგ	767 ± 26	898 ± 31**
მგ/გ წონითი კოეფიციენტი		3,47 ± 0,06	4,67 ± 0,15**
რნმ	გულში, მგ	1,00—0,06	1,28 ± 0,06**
	ნედლ. ქსოვ., მგ/გ	1,29 ± 0,34	1,43 ± 0,07*
დნმ	გულში, მგ	0,61 ± 0,02	0,78 ± 0,01**
	ნედლ. ქსოვ., მგ/გ	0,89 ± 0,03	0,88 ± 0,03***

P — შნიშვნელობები ნორმასთან შედარებისას
*P < 0,05, **P < 0,001, ***P < 0,01



ლიზმს, ისიც იცვლება იგივე მიმართულებით, როგორც ჯამური რნმ. დაბალმოლეკულური რნმ-ის ნახევარდაშლის სიჩქარე და ცვლის დრო L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს მნიშვნელოვნად მცირეა ნორმასთან შედარებით (ცხრ. 2). შესაბა-

ცილის სინთეზი იზრდება 19%-ით ნორმასთან შედარებით (ცხრ. 3).

ელექტროფორეგრამების და რადიოავტოგრაფების დენსიტომეტრიის მონაცემებით აღმოჩნდა, რომ ცილის სინთეზის გააქტიურება ძირითადად წარმოებს კოორ-

ცხრილი 2

ციტოპლაზმური რნმ-ის მეტაბოლიზმი ჰიპერთიროიდულ მთკარდულში L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს

მაჩვენებელი	პრეპარატი	ნორმა n=12	L-თიროქსინული ტოქსიკოზი n=12
ნახევარდაშლის სიჩქარე (დღ)	ჯამური რნმ	731 ± 0.2	2.2 ± 0.***
	ნუკლეოტიდები	4.1 ± 0.0	3.6 ± 0.1
	4S	9.4 ± 0.3	5.6 ± 0.2*
	18S	8.6 ± 0.3	3.1 ± 0.1**
	28S	7.7 ± 0.2	4.2 ± 0.2*
	t 1/2 4S/t1/2 18S	1.09	1.80
	t1/2 4S/t1/2 28S	1.22	1.29
ცვლის სიჩქარე (დღ)	ჯამური რნმ	10.3 ± 0.2	3.2 ± 0.2***
	ნუკლეოტიდები	6.2 ± 0.2	5.2 ± 0.1
	4S	13.5 ± 0.4	8.1 ± 0.2*
	18S	12.4 ± 0.3	5.4 ± 0.1**
	28S	11.1 ± 0.2	5.9 ± 0.2*
ნიშნადობლივი ატომების ყოველდღიური % დანაკარგები	ჯამური რნმ	9.7	31.2***
	ნუკლეოტიდები	16.2	19.4
	4S	7.4	12.3*
	18S	8.0	18.5**
	28S	9.0	16.6*

P — მნიშვნელობები ნორმასთან შედარებისას
*P < 0.001, **P < 0.01, ***P < 0.02

მისად იცვლება ცვლის დრო და ყოველდღიური პროცენტული დანაკარგი რნმ-ის სხვადასხვა ფრაქციისათვის (იგივე ცხრილი).

ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით აღრე ჩვენს მიერ [2] ნაჩვენები იყო, რომ L-თიროქსინული ტოქსიკოზის დროს ხდებოდა რნმ-ის სხვადასხვა ფრაქციების სინთეზის მომატება.

იმისათვის, რომ გამოვეყვლია თიროტოქსიკოზის დროს რნმ-ის ფრაქციული შემადგენლობის ცვლილება იწვევდა თუ არა კარდიომიოციტის გარკვეული ცილების სინთეზის ცვლილებას, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მთკარდიუმის ცილების ფრაქციული შემადგენლობა და სინთეზი (ცხრ. 3).

აღმოჩნდა, რომ გულის კუნთის ჰიპერტროფიის განვითარებისას, რომელიც გამოწვეული იყო L-თიროქსინის ინექციით,

დინირებულად; იმატებს უმეტესი ცილების სინთეზი, რომელთაგანაც გამოირჩევა 10 ფრაქცია, ესენია ცილები მოლეკულური მასით 139, 119, 101, 98, 95, 68, 65, 58, 50, 45 კდ.

უჩრდელში ცილის სინთეზზე თირეოიდული ჰორმონების გავლენა პირველად დემონსტრირებული იყო ტატა-ს მიერ [12, 13], რომელმაც აჩვენა, რომ ცილის სინთეზის მომატებას მიკროსომებში წინ უსწრებდა რნმ-პოლიმერაზული აქტიობის გაძლიერება ღვიძლის ბირთვებში [13].

თირეოიდული ჰორმონებისათვის მცირე ლატენტური პერიოდი (6 სთ) აღინიშნებოდა სწრაფცვლადი ბირთვული ი-რნმისათვის [14].

რადიოიზოტოპური მეთოდით დადგინდა, რომ ნიშნადებული რნმ-ის ძირითად მასას შეადგენდა რ-რნმ. ცხოველებს, რომელთაც ამოკვეთილი ჰქონდათ ფარ-

ფრაქცია, ცილის მოლეკ. მასა (კილო დალტონი)	რადიოაქტივობის სიმკვრივე		ფრაქცია, ცილის მოლეკ. მასა (კილო დალტონი)	რადიოაქტივობის სიმკვრივე	
	ნორმა	L-თიროქსინული ტოქსიკოზი		ნორმა	L-თიროქსინული ტოქსიკოზი
ჯამური ცილა	12999, ± 401	15469 ± 872*	79	52,0 ± 14,3	47,4 ± 14,5
200	97,3 ± 13,7	97,2 ± 9,8	76	59,7 ± 15,1	40,4 ± 12,6
197	40,5 ± 4,5	40,7 ± 4,5	73	25,3 ± 10,2	29,0 ± 7,4
187	32,8 ± 8,3	25,9 ± 6,3	71	9,9 ± 4,4	12,8 ± 4,3
183	30,0 ± 7,2	30,6 ± 9,7	68	10,3 ± 3,0	27,8 ± 10,1*
177	20,2 ± 6,9	31,0 ± 10,2	65	30,8 ± 5,2	15,5 ± 3,8*
171	19,5 ± 12,9	17,1 ± 5,2	63	30,5 ± 6,1	44,6 ± 10,8
165	19,8 ± 6,3	16,2 ± 6,3	60	31,4 ± 7,9	48,2 ± 10,2
159	17,4 ± 9,5	9,3 ± 3,5	58	19,8 ± 6,2	40,3 ± 5,9*
152	4,7 ± 3,1	4,6 ± 1,9	56	31,6 ± 6,4	41,2 ± 6,3
139	4,9 ± 2,8	12,2 ± 4,2*	50	20,5 ± 9,1	44,7 ± 6,4*
136	10,9 ± 2,4	13,5 ± 4,4	48	18,2 ± 3,3	19,8 ± 7,3
129	26,7 ± 9,3	16,2 ± 4,6	46	13,2 ± 3,2	24,0 ± 4,8
125	19,4 ± 5,7	18,9 ± 4,6	45	2,7 ± 2,5	27,0 ± 2,6*
122	13,3 ± 6,9	16,9 ± 9,7	43	74,8 ± 13,2	93,9 ± 119,2
119	18,5 ± 7,7	32,2 ± 9,7*	41	27,9 ± 14,6	38,6 ± 11,3
115	36,5 ± 6,8	27,1 ± 6,3	39	47,8 ± 8,6	49,4 ± 7,3
112	26,3 ± 7,2	25,8 ± 6,9*	37	24,1 ± 6,5	27,5 ± 6,4
109	17,8 ± 5,8	23,0 ± 5,2	36	18,6 ± 4,4	25,7 ± 4,7
106	20,3 ± 4,6	13,6 ± 6,0	34	9,2 ± 3,5	10,3 ± 5,6
104	35,1 ± 14,3	31,7 ± 9,5	32	29,4 ± 5,6	34,8 ± 4,9
101	54,2 ± 24,6	26,4 ± 6,7*	30	27,0 ± 8,2	29,7 ± 7,1
98	24,8 ± 10,1	65,4 ± 34,1*	28	27,6 ± 9,1	31,3 ± 4,5
95	18,3 ± 6,9	31,7 ± 4,5*	27	10,1 ± 5,8	18,4 ± 4,2
89	14,1 ± 4,9	19,0 ± 4,8	25	115 ± 1,4	3,5 ± 1,8
88	13,6 ± 5,8	20,2 ± 4,3			
85	15,0 ± 3,2	19,2 ± 4,8			
82	11,3 ± 3,4	24,8 ± 11,9			

* $P < 0,02$ მნიშვნელობა ნორმასთან შედარებისას

სებური ჭირკვალი, თიროქსინის შეყვანიდან 10—12 საათის შემდეგ აღენიშნებოდათ რ-რნმ-ის სინთეზის მომატება, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევდა 6 საათის შემდეგ. ამ პროცესს თან ახლდა იმ რნმ-პოლიმერაზას გააქტივება, რომელიც პასუხისმგებელია რ-რნმ-ის სინთეზზე (Mg^{2+} -ით აქტივირებული) [14].

არსებობს ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ტრანსპორტული რნმ-ის სინთეზის გააქტივებაზე თიროქსინით ინექციის შემდეგ ღვიძლის უჯრედებში [15]. აღმოჩნდა, რომ ამ დროს ორგანიზმში მნიშვნელოვნად იცვლებოდა ტრანსპორტული რნმ-ის იზოაქტებორული შემადგენლობა [15].

ჩვენს მიერ აღრე [4] ნაჩვენები იყო, რომ თირეოიდული პათოლოგიის დროს ქრომატინის მატრიცული აქტიობა ეგზო-

თერმული-რნმ-პოლიმერაზა III-ის მიმართ მნიშვნელოვნად იცვლებოდა, ხოლო რნმ-პოლიმერაზა I-ის მიმართ, რომელიც აუცილებელია რ-რნმ-ის სინთეზისათვის, არ იცვლებოდა [4]. საინტერესოა თვით ის ფაქტიც, რომ ჰიპოთირეოზის დროსაც კი დაბალმოლეკულური რნმ აჩქარებულად იცვლება ნორმასთან შედარებით [3]. დაბალმოლეკულური რნმ-ის აჩქარებული ცვლა ორგანიზმში თირეოიდული პორმონების დარღვევისას დიამეტრულად განსხვავებულია პათოლოგიის დროს და ცილის სინთეზის ცვლილება, როგორც ჩვენს ვფიქრობთ, ასახავს ორგანიზმის რეაქციის ფუნდამენტურ მექანიზმს კომეოსტაზის დარღვევისას და მოითხოვს მის შემდგომ შესწავლას.

ამრიგად, ტრანსკრიფციის გააქტიურებას თირეოტოქსიკოზის დროს ნაწი-

ლობრივ მიყვავართ ტრანსკრიბირებადი ი-რნმ-ის თანაფარდობის ცვლილებებისაკენ.

თირეოიდული ჰორმონების მოქმედების ამოსავალ წერტილად ითვლებოდა ტრანსკრიბციის რეგულირება ბირთვის რეცეპტორებთან დაკავშირების გზით [11], მაგრამ ამ ჰორმონების ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ზემოქმედების მრავალფეროვნებამ უბიძგა იქითკენ, რომ აღმოჩინათ ამ ჰორმონის არა უჯრედული ურთიერთქმედების რეცეპტორები. უკანასკნელ ხანს გამოჩნდა მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ თირეოიდული ჰორმონების რეცეპტორები მოიპოვება პლასმურ მემბრანაზე და მიტოქონდრიაში [10]. ყოველივე ეს მიუთითებს ამ ჰორმონების ზემოქმედების მრავალფეროვნებაზე.

როდესაც სითბური შოკით დაამუშავეს *Drosophila*-ს უჯრედები, მოხდა სხვადასხვა ტიპის დაბალმოლეკულური რნმ-ის სინთეზი და ციტოპლაზმაში დაგროვება. ეს რნმ-ები, რომლებიც შეიცავენ დაახლოებით 320 ნუკლეოტიდს, აღედნენ დროზაფილას ი-რნმ-ის ინჰიბირებას ბოცვერის რეტრიკულოციტების ლიზატებში [8].

გოლემანის მიერ [6] თანაავტორებთან ერთად ნაჩვენებია იყო, რომ L-თიროქსინით ინდუცირებული მარცხენა პარაკუქის ჰიპერთროფიის დროს, რომელიც გამოწვეული იყო L-თიროქსინის შეყვანით 9 დღის განმავლობაში, ცილის სინთეზის

სიჩქარე, რომელიც განსაზღვრული იყო ჰორმონის შეყვანიდან მე-10, მე-15 და მე-20 დღეს, აღმატებოდა ცილის დეგრადაციის სიჩქარეს [6].

როგორც ზემოთქულიდან სჩანს, ცილის სინთეზზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს რ-რნმ-ის ნახევარდაშლის სიჩქარე, ხოლო თავის მხრივ რიბოსომების ფუნქციონირებაში და სიცოცხლის ხანგრძლივობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ რიბოსომალურ ცილებს [7] და მის შემადგენელ სხვადასხვა ტიპის რნმ-ს.

ჰორმონით ინდუცირებული რნმ-ის სხვადასხვა ტიპების დაშლის მაღალი სიჩქარე თავის მხრივ როგორც სჩანს, იწვევს თავთ ნუკლეინის მკვების გააქტიურებას, რის გამოც ალბათ აქტიურდება ტრანსლაციის პროცესი, ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს ჰიპერთროფიის პროგრესირებას, ე. ი. ჰიპერთროფიის მიზეზი შეიძლება ვეძებოთ ისეთ შუალედურ პროცესებში, როგორიცაა რიბოსუკლინის მკვების დეგრადაცია, რომლის შუალედური პროდუქტებიც იწვევენ უკუზემოქმედებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რნმ-ში აღმოჩენილია ფერმენტული აქტიობა [1], რომელიც ალბათ აქტიურდება გარკვეულ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პირობებში და ხელს უწყობს უჯრედში თვითრეგულაციის პროცესების წარმართვას ამა თუ იმ მიმართულებით.

ЛИТЕРАТУРА

1. Бекман Э. М., Денисенко М. Ф., Григорьев М. Ю., Арион В. Я. Мол. биол., 20, 527—535, 1986.
2. Варазанаშвили Н. А., Джагаров Д. Э. В сб.: Современные вопросы кардиологии, Тбилиси, 1986.
3. Карсанов Н. В., Варазанаშвили Н. А., Джагаров Д. Э. Изв. АН ГССР, сер. биол., 15, 3, 350—356, 1989.
4. Карсанов Н. В., Смоленская Л. И., Джагаров Д. Э., Варазанаშвили Н. А. Укр. биохим. ж., 58, 8—15, 1986.
5. Рокицкий П. Ф. Биологическая статистика, „Высшая школа“, Минск, 1973.
6. Coleman S. P., Parmacek S. M., Lesch M. C., Samarel M. A. J. Mol. Cell. Cardiol., 21, 911—925, 1989.
7. Dahlberg A. E. Cell, 57, 525—529, 1989.
8. Kawata Y., Fuhwara H., Ishikawa H. Comp. Biochem. Physiol., 91B, 149—153, 1988.
9. Laemli U. F. Nature, 227, 680—685, 1970.
10. Nayer De P. Hormone Res., 26, 48—57, 1987.
11. Oppenheimer J. H. Science, 203, 971—979, 1979.
12. Tata J. P., Ernsten L., Indberg O. Biochem. J., 86, 408—412, 1963.
13. Tata J. P., Ernsten L., Syranly E. Biochim. Biophys. Acta, 60, 480—491, 1963.
14. Tata J. P., Widnell C. C. Biochem. J., 98, 604—620, 1966.
15. Yang S. S. J. Biol. Chem., 244, 1081—1086, 1969.

**ВЛИЯНИЕ МЕТАБОЛИЗМА РАЗНЫХ ФРАКЦИЙ РНК
КАРДИОМИОЦИТА НА СИНТЕЗ БЕЛКА ПРИ
L-ТИРОКСИНОВОМ ТОКСИКОЗЕ**



Н. А. Варазаншвили

Республиканский научно-исследовательский центр медицинской биофизики Министерства здравоохранения и социального обеспечения Республики Грузия, Тбилиси

Резюме

Исследован синтез разных фракций белка в сердце крысы с тироксинным токсикозом, который вызывался внутримышечными инъекциями L-тироксина (150 мкг/100 г) на протяжении 10—30 дней. Белки сердечной мышцы метили *in vivo* [³⁵S]-метионином.

Изучено также влияние метаболизма разных фракций РНК на синтез белка.

Показано, что при L-тироксинном токсикозе повышение скорости мета-

болизма разных фракций РНК способствует активации синтеза белка, что выражается в повышении включения [³⁵S]-метионина в разные фракции белка кардиомиоцита, из которых можно отметить белки с молекулярной массой 139, 119, 101, 98, 95, 68, 65, 58, 50, 45 кД.

Полученные данные могут способствовать выяснению причин возникновения гипертрофии, индуцированной гормоном.

**THE INFLUENCE OF METABOLISM OF DIFFERENT RNA FRACTIONS
OF CARDIOMYOCYTE ON THE PROTEIN SYNTHESIS IN
L-THYROXINE TOXICOSIS**

N. VARAZANASHVILI

Republican Research Centre of Medical Biophysics Georgian Ministry of Health and Social Maintenance, Tbilisi

Summary

The synthesis of different protein fractions in hypertrophied rat heart induced by intravenous injections of L-thyroxine (150 g/100g a day) for 10—30 days was studied. Heart muscle proteins were labelled *in vivo* by [³⁵S]-methionine. The influence of metabolism of different RNA fractions on protein synthesis was also investigated.

It has been found that in L-thyroxine toxicosis the metabolic rate increase

in different RNA fractions promotes protein synthesis activation that is expressed by high inclusion of [³⁵S]-methionine in different protein fractions of cardiomyocyte from which the proteins with molecular weight of 139, 119, 101, 98, 94, 65, 58, 50 and 45 KD could be pointed out.

The obtained data can be used in revealing the reasons of hormone-induced heart hypertrophy.

საიუბილეო თარიღები



აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი

(დაბადებიდან 90 წლისთავისათვის)

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბიოქიმიკოსმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მეცნიერებთა დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვლადიმერ ასათიანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ბიოლოგიისა და ორგანული ქიმიის მთელი რიგი დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბატონი ვლადიმერ სამსონის ძე ასათიანი დაიბადა 1901 წელს ქ. ფერგანაში (მაშინდელი სკობელევი) ცნობილი სამხედრო ინჟინრის ოჯახში. 1918 წ. წარმატებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1923 წელს ქ. პერუჯის (იტალია) სამეფო უმაღლესი ექსპერიმენტული აგროქიმიის ინსტიტუტი. 1923-25 წლებში სპეციალიზაციას გადიოდა ბიოქიმიისა და ორგანულ ქიმიის პარიზის, სტრასბურგის, შარლოტენბურგის უნივერსიტეტებში.

უცხოეთში ყოფნის პერიოდში ვ. ასათიანი კითხულობდა ლექციებს პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერა საფრანგეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1924 წელს პეტრე მელიქიშვილის წარდგინებით ვ. ასათიანი დაუსწრებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტად იქნა არჩეული. 1925 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთანავე ბატონი ვლადიმერი ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის კათედრების პროფესორი, ხოლო შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე ბრძანდებოდა.

მრავალმხრივი იყო ვ. ასათიანის მეცნიერული მოღვაწეობა. ალსანოშვილი მისი როლი საქართველოში ჩაის მრეწველობის დაფუძნების საქმეში. ვლადიმერი ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და დირექტორის მოადგილე ბრძანდებოდა. 1937—1939 წლებში ტუბერკულოზის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

ვ. ასათიანი ორმოცი წლის მანძილზე მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, ჯერ იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის დირექტორი.

ვ. ასათიანის ღრმა ცოდნამ, შეუდარებელმა მეცნიერულმა ალომ განაპირობა მთელი რიგი მეცნიერული მიმართულების შექმნა და უმნიშვნელოვანესი შედეგების მოპოვება.

ვ. ასათიანი ბიოქიმიური ფარმაკოლოგიის და სამედიცინო ფერმენტოლოგიის ფუძემდებელია საქართველოში. იგი ითვლება მთის კლიმატის ბიოქიმიის და ტუბერკულოზის პათოქიმიის დამაარსებლად. ამ დარგში შესრულებულ შესანიშნავ შრომებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთის პირობებში ჯანმრთელი ან ავადყოფი ორგანიზმის ფუნქციონირების და სპორტსმენების წერტილისა და რაციონალური კვების რეჟიმის შემუშავებაში.

უმნიშვნელოვანესი მეცნიერული კვლევები ჩაატარა ვ. ასათიანმა ჰორმონებისა და ფერმენტების როლის დასადგენად მთის კლიმატის პირობებში ფიზიკური დატვირთვისა და სხვადასხვა პათოლოგიის დროს ნახშირწყლების, ცხიმების, ცილების, მინერალური მარილების ცვლის თავისებურების შესასწავლად. ვ. ასათიანის შრომებმა ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიაში შესაძლებელი გახადა რიგი სამკურნალო საშუალებების მოქმედების ნატიფი მექანიზმის ახსნა.

დიდი ვ. ასათიანის დამსახურება შედარებით ბიოქიმიის სფეროში. მისი მონოგრაფია „ადამიანისა და მიმუნის შედარებითი ბიოქიმია“ 1961 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა.

ვ. ასათიანის მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ანალიზური ბიოქიმია წარმოადგენდა. ამ საქმეს მიუძღვნა მან მრავალრიცხოვანი მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რამაც მეცნიერს ფართო აღიარება მოუტანა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ვ. ასათიანის შრომები „ბიოქიმიური ანალიზი“, „ბიოქიმიური ფოტომეტრია“, „ბიოქიმიური ფოტომეტრიის ახალი მეთოდები“ სამაგიდო წიგნებია ევროპის ქვეყნების ბიოქიმიკოსებისათვის. მონოგრაფია „ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზი“ რუმინეთში გამოიცა. 1969 წელს გამოქვეყნებული წიგნისათვის „ანალიზის ფერმენტული მეთოდები“ ვ. ასათიანს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ვ. ასათიანის კალამს ეკუთვნის 185 მეცნიერული შრომა, მათ შორის 35 მონოგრაფია, 20 სამეცნიერო პოპულარული წიგნი და ბროშურა. ვ. ასათიანი მეცნიერების უბრწყინველესი პრობაგანდისტი და პოპულარიზატორი, უბადლო პედაგოგი და ახალგაზრდა მეცნიერთა საუცხოო აღმზრდელი ბრძანდებოდა. მის შთამბეჭდავ ლექციებზე, მრავალრიცხოვან მონოგრაფიებზე და სახელმძღვანელოებზე ექიმთა, პროფსორთა, ქიმიკოსთა, ბიოლოგთა მრავალი თაობა აღიზარდა. ვ. ასათიანის ხელმძღვანელობით მომზადდა 80 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი.

ვ. ასათიანი იყო საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიის და დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია წევრი.



ბატონი ვლადიმერი — თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მგზნებარე პატრიოტი, ენციკლოპედიური განათლების, უდიდესი ენციკლოპედიისა და დაუშრეტელი ენერჯის მქონე პიროვნება, არაჩვეულებრივი ადამიანური მომხიბვლელობით, საოცარი ფულისხმიერებით და დიდებული უბრალოებით ხასიათდებოდა. უსაზღვრო იყო მისი სულისა და გონების სიუხვე.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი 1971 წლის 9 მარტს გარდაიცვალა.

სასიქადულო მამულიშვილმა, დიდმა მეცნიერმა, მოქალაქემ, აღმზრდელმა, მოაზროვნემ, განუმეორებელმა ქართველმა ინტელიგენტმა უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა მოწაფეების, კოლეგების, ფართო საზოგადოებას შორის და ჭეშმარიტად ღირსეული კვალი დატოვა თავისი ერის ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

ბ. ჭაჩხატიანი

კრონიკა

ეპილეფსიის სამართავო ზოგადი
(ო ს ბ)

ქვირფასო მეგობრებო,

1985 წელს ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროსთან შეიქმნა პირველი შრომის მოწყობის კომისია. კომისიის ერთ-ერთი ამოცანა იყო „მეწარმეთათვის საქმის სწორი წარმართვის პრინციპების“ შემუშავება. ეს „პრინციპები“ ოფიციალურად იქნა მიღებული როგორც ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროს (ესბ), ისე ეპილეფსიის წინააღმდეგ საერთაშორისო ლიგის (ILAE) მიერ. მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციამ (WHO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) და საერთაშორისო რეაბილიტაციამ დადებითად შეაფასა ეს ნაშრომი. ამ უკანასკნელმა მისი ოფიციალური დამტკიცების საკითხი თვის ბოლოსათვის გადადო. ნაშრომი გამოქვეყნდა „International Epilepsy News“-ში (ესბ-ს ოფიციალურ საინფორმაციო ბიულეტენში) და „Epilepsia“ (ILAE-ს ოფიციალურ ჟურნალში).

ესბ-ს მიერ ახლად შექმნილ შრომის მოწყობის II კომისიას სურს, კიდევ უფრო ფართოდ დანერგოს „საფუძვლები“ და ამიტომ მოგიწოდებთ, გადათარგმნოთ იგი თქვენს მშობლიურ ენაზე და გამოაქვეყნოთ თქვენს ეროვნულ ჟურნალში. კიდევ უფრო მოხარული ვიქნებით, თუ გამოგვიგზავნით თქვენი ჟურნალის ერთ ეგზემპლარს თარგმანითურთ ჰეიმსტედში, ეს-ს დაწესებულებაში.

ვასული წლის აპრილს, ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, II კომისიის პირ-

ველ შეკრებაზე დაისახა მომავალი წლის სამოქმედო გეგმა (კომისიის მოქმედების ვადა). სიაში დიდი უპირატესობა მიანიჭეს ისეთ პიროვნებას, რომელიც ცნობილი იყო შრომის მოწყობისა და ეპილეფსიის სფეროში საკუთარ ქვეყანაში, ესბ-ს ფილიალში და სხვა ქვეყნებში, სადაც ხალხი დაინტერესებულია ამ საკითხით.

ჩვენი თხოვნა იქნება, გვაცნობოთ ასეთი პიროვნების ვინაობა თქვენს ქვეყანაში. მისი დახმარებით შევეცდებით დავაყაროთ საქმიანი ურთიერთობა რაც შეიძლება მეტ ფილიალთან.

ვიმედოვნებთ აგრეთვე, უახლოეს მომავალში, ყველა ამ საკონტაქტო პიროვნების მონაწილეობით მოვაწყოთ სასწავლო სემინარი.

თუ გაინტერესებთ შრომის მოწყობის I კომისიის საქმიანობა, შეგიძლიათ იხილოთ IE News № 98. ცნობები ჩვენი მომავალი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნდება Newsletter-ის შემდეგ ნომერებში. თუ გსურთ რაიმე განსაკუთრებული ინფორმაციის მიღება, შეგიძლიათ პირადად დამიკავშირდეთ ესბ-ს დაწესებულებაში.

იმედია, გამოგვეხმარებით და მოგვწერთ საკუთარ მოსაზრებებს იმ ორ წინადადებაზე, ჩვენ რომ შემოგთავაზეთ.

წერილები შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით:

Hanneke de Baer
IBE, P. O. Box 21
2100 AA Heemstede, the
Netherlands

პატივისცემით,
ჰანეკ დე ბიერი,
შრომის მოწყობის კომისიის მდივანი.



ეპილევსიის საერთაშორისო ბიუროს (ესბ) შრომითი მოწყობის კომისია

ეპილევსიის დაავადებულ სამუშაო ასაკის პირთა უმეტესობას მთელ მსოფლიოში მატერიალური უზრუნველყოფისთვის რაიმე სპეციალური დახმარება არ ესაჭიროებათ, თუმცა ზოგჯერ ეპილევსიით დაავადებულნი დიდ სიძნელეებს აწყდებიან სამუშაოს შოვნისა და შენარჩუნების საქმეში. ამ სტატიის მიზანია შრომის მოწყობის სფეროში უმთავრესი და მრავალნაირი პრინციპების დანერგვა, და ამდენად, ეპილევსიით დაავადებულთა შრომითი მოწყობის გაადვილება. ნებისმიერი საერთაშორისო პრინციპი თანაბრად მისაღები უნდა იყოს იმ ქვეყნებისთვისაც, სადაც საყოველთაო სამედიცინო და სოციალური მომსახურება ხელმისაწვდომია, და იმათთვისაც, სადაც მსგავსი სამსახურები ნაკლებადაა განვითარებული, ან სადაც ისინი ჭერჭერობით საერთოდ არ არსებობს.

ამ პრინციპების შემუშავებაში დიდი როლი ითამაშა ესბ-ს შრომითი მოწყობის კომისიამ, რომლის პირველი შეკრება შედგა 1986 წელს დიდი ბრიტანეთის, დანიისა

და ჰოლანდიის სიმპოზიუმზე ინგლისის ქალაქ იორკში. კომისიის წევრები არიან: ჰანნეკ დე ბოერი, ნიდერლანდები (თავმჯდომარე); რობერტ ფრეიზერი, აშშ; ჯოლიონ ოქსლი, შვერთებული სამედიცინით ჰედერსენი, დანია; კის პეპერი, ნიდერლანდები; რუპრეხტ თორბეკი, გერმანია.

კომისიის შემდგომი სხდომები შედგა სიეტლსა და ვაშინგტონში, აშშ (1986 წ. ნოემბერი); ჰემსტედში, ნიდერლანდები (1987 წ. მაისი); იერუსალიმში, ისრაელი (1987 წ. სექტემბერი); რომში, იტალია (1988 წ. აპრილი) და ნიდერლანდებში (1988 წ. სექტემბერი).

იორკში გადაწყდა შრომის მოწყობის თაბაზე სემინარის მოწვევა ეპილევსიის მე-17 საერთაშორისო კონგრესის დროს იერუსალიმში (ისრაელი), 1987 წლის სექტემბერში. ამ სემინარის („ეპილევსია და შრომის მოწყობა“) მასალები, გამოცემული ჰანნეკ დე ბოერისა და ჯოლიონ ოქსლის რედაქციით, შეგიძლიათ შეიძინოთ 5 ამერიკულ დოლარად ეპილევსიის საერთაშორისო ბიუროს დახმარებით.

ამოსავალი აქსიომები

შრომის მოწყობის პრინციპების ჩამოყალიბებისას შრომის მოწყობის კომისია ითვალისწინებს რამდენიმე აქსიომას, რომელიც ეხება შრომისუნარმოკლებულ პირთა უფლებების დაცვას, ეპილევსიასა და მის ყოველმხრივ კონტროლს. ეს აქსიომებია:

1. ეპილევსია არის თავის ტვინის ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც დაავადებულ ინდივიდს აქვს მიდრეკილება განმეორებადი კრუნჩხვებისადმი, რაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ფორმით, მნიშვნელოვნად განსხვავებული სისხირითა და სიძლიერით.
2. უმეტეს შემთხვევაში, კრუნჩხვები მთლიანად რეგულირებადია სათანადო თერაპიის გამოყენებით, რასაც შეიძლება დასჭირდეს ანტიეპილექტური ნივთიერებებით მკურნალობა და კონსილიუმი.

3. ეპილევსიის დიაგნოზმა ან კრუნჩხვების არსებობამ არ უნდა გამოიწვიოს პიროვნების სამსახურიდან დათხოვნა.
4. თუ იშვიათად, ზოგიერთი ტიპის საქმიანობა მოითხოვს გარკვეულ შეზღუდვებს, მაშინ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს როგორც შერჩეული სამუშაოს მოთხოვნების სამართლიან ინდივიდუალურ ანალიზს, ისე იმ პიროვნების შესწავლას, რომელიც ეპილევსიით არის დაავადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი შეზღუდვები დისკრიმინაციად ჩითვლება.
5. ყოველი ეპილევსიით დაავადებული პირისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯანდაცვის, რეაბილიტაციისა და პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობის საშუალებები, აგრეთვე სოციალურ-ველეოფის სამსახური, რათა მან მაქსიმალური კონტროლი გაუწიოს თავის და-



ვადებას და რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა გაუჩნდეს სამსახურის შოვნისა. ეპილეფსიით დაავადებულნი უნდა სარ-

გებლობდნენ სამუშაოს ძებნის, შერჩევისა და მუშაობის იგივე უფლებებში.

ეპილეფსიით დაავადებულთა შრომის მოწყობის ძირითადი პრინციპები

ამ პრინციპების ჩამოყალიბებისას ჩვენ გავითვალისწინეთ 4 ძირითადი სფერო, ესენია:

ჯანმრთელობის დაცვა

სამუშაოს შესაფერისობა
სამუშაოზე მიღება და საქმის შერჩევა
მუშაობისას დახმარება

ჯანმრთელობის დაცვა

ცნობილია, რომ ეპილეფსური კრუნჩხვების კარგი კონტროლი, სამუშაოში დახელოვნება, აგრეთვე ეპილეფსიისადმი დადებითი შეგუება — ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად განაპირობებენ დაავადებული პიროვნების სამსახურში მოწყობას.

მოსამსახურის ან სამუშაოს დაწყების მსურველის შეფასებისას დაქირავებულმა უნდა იცოდეს ზოგიერთი ძირითადი ფაქტი ეპილეფსიისა და სამუშაოს შესრულებაზე მისი გავლენის შესახებ. ქვევით მოყვანილია ძირითადი გასათვალისწინებელი პუნქტები:

— კრუნჩხვები შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით; ზოგს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება კრუნჩხვა დაემართოს. ასეთ შემთხვევაში ეპილეფსიის დიაგნოზი არ დაისმება.

— როდესაც ადამიანს კრუნჩხვები პირველად ემართება, მან შეიძლება საკუთარი თავისადმი რწმენა დაკარგოს და დასპირდეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ასევე ეპილეფსიის შესახებ ცოდნის მიღება.

— უმეტეს შემთხვევაში განმეორებად კრუნჩხვებს შეიძლება კონტროლი გაეწიოს შესაბამისი თერაპიის საშუალებით. ეს, როგორც წესი, არის მკურნალობა ანტიეპილეპტური წამლებით, რომელთა მიღება საჭიროა რეგულარულად, ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში.

— ანტიეპილეპტურმა ნივთიერებებმა, თუ სწორად არის დანიშნული, არ უნდა გამოიწვიოს თანმდევი ეფექტები, რაც შესამჩნევად აფერხებს სამუშაოს შესრულებას.

— ძალზე იშვიათად მომხდარა ისე, რომ კრუნჩხვები ადამიანს დამართოდეს

მუშაობისას, ან ექიმის მიერ გამოწერილ ანტიეპილეფტიკურ წამლებს გაეძნელებინოთ სამუშაოს შესრულება.

— ასეთ შემთხვევებში ეპილეპტოლოგ ექიმ-ექსპერტის ჩარევა ხშირად აუმჯობესებს კრუნჩხვების კონტროლს და ამცირებს თანმდევ მოვლენებს.

— ავადმყოფობა, გაცდენა, ან უბედური შემთხვევები სამუშაოზე ეპილეფსიით დაავადებულთა შორის არ არის იმაზე ხშირი, ვიდრე სხვა მუშაკებში.

— ეპილეფსიით დაავადებულნი ისევე უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დაზღვევით, როგორც სხვები.

სამუშაოთა დიდი უმრავლესობა შესაფერისია ეპილეფსიით დაავადებულთათვის. სამუშაოს სწორი შერჩევისათვის უნდა დავეკითხოთ მედიკოსს, მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ სამუშაოს მოთხოვნები და კრუნჩხვებისა და ეპილეფსიის შესახებ ცნობილი კონკრეტული ფაქტები; არ უნდა მოვექცეთ დაუსაბუთებელი ზოგადი აკრძალვების ტყვეობაში.

ისეთ სამუშაოზე, რომელიც ფიზიკური დაზიანების საფრთხეს უქმნის ერთ ან რამდენიმე მუშას, უნდა გადაისინჯოს მუშაობის ორგანიზაცია, რათა პოტენციური რისკი შემცირდეს დასაშვებ დონემდე, ეპილეფსიით დაავადებულთა სამუშაოზე შეზღუდული მიღება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელია.

როდესაც ეპილეფსიით დაავადებულ პირს გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, სამუშაოსათვის მისი ვარგისიანობა აღიარებულ უნდა იქნას.

როდესაც სამუშაოზე მოწყობის მსურველის ჯანმრთელობას ვიძიებთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ ანკეტური მონაცემებით; უნდა მოვაწყოთ საგანგებო ინტერვიუ შესაბამისი სპეციალისტის თანდასწრებით.

გასაუბრებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ეპილეფსიით დაავადებული პირის შესაძლებლობებზე და არა მის ნამდვილ ან სავარაუდო უუნარობაზე.

ეპილეფსიით დაავადებულთათვის შესაფერისი საქმიანობის შერჩევა დამჭირა-

ვებელმა უნდა გადაწყვიტოს, პიროვნების ეპილეფსიიდან გამომდინარე პრობლემების გაუთვალისწინებლად.

ხანდახან იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესაფერისია პიროვნება ამა თუ იმ სამუშაოსათვის, საჭიროა სამედიცინო დასკვნა. ამ შემთხვევაში იგი უნდა ემყარებოდეს სამუშაოს სპეციფიკის ცოდნასა და ინდივიდის ავადმყოფობის დეტალებს.

მუშაობისას დახმარება

როდესაც მუშაკს პირველად ემართება გულყრა, დამჭირავებელი ამას ნორმალურად უნდა შეხვდეს და ვიდრე მუშის ვარგისიანობას განაჩენს გამოუტანდეს, უზრუნველყოს იგი სათანადო სამედიცინო დახმარებით.

თუ მოსალოდნელია კრუნჩხვების გამოვლენა მუშაობის პროცესში, დამჭირავებელი უნდა დაეხმაროს ეპილეფსიით დაავადებულ პირს, გაუმხილოს მისი მდგომარეობა თანამშრომლებს.

იმ პირთ, რომლებიც კრუნჩხვების მოწყვნი შეიძლება გახდნენ, უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია პირველადი სამედიცი-

ნო დახმარების შესახებ.

თუ საჭიროდ ჩათვლით რაიმე სპეციალურ შეზღუდვებს, ნათლად უნდა იქნას მითითებული, თუ როგორ აპირებთ ამ შეზღუდვების განხორციელებას, გადასინჯვას ან გარკვეული დროით გაუქმებას.

თუ, მიუხედავად სათანადო სამედიცინო ყურადღებისა, მაინც საჭირო გახდება ეპილეფსიით დაავადებულის სხვა სამუშაოზე გადაყვანა, ადრეულ სტადიაშივე უნდა უზრუნველყოთ იგი სარეაბილიტაციო სამსახურებით და მისცეთ რჩევები მომავალი სამუშაოს შერჩევის თაობაზე.

Известия АН Грузии, серия биологическая
(на грузинском, русском и английском языках)

Корректор Д. Р. Арчвадзе

Сдано в набор 15.07.91; Подписано в печать 25.10.91
Формат бумаги 70×108¹/₁₆. Бумага № 1. Высокая печать
6,3 усл.-печ. л. 7,23 кр.-отт. 4,3 уч.-изд. л.
Тираж 1000 экз. Заказ 1724. Цена 1 руб.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Цена 1 руб.

628/17

Индекс 76204



ISSN - 0321-1665 Изв.АН Грузии, сер.биологическая, 1991, т.17, №5, 289-360